სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

23/02/2026

MES 2 26 0000208432

სსიპ –საქართველოს ტენიკური უნივერსიტეტის ფარგლებში
საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის (შიდა მობილობა) შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის, სსიპ – საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქციის მე-4 მუხლის და სსიპ – საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. განისაზღვროს უნივერსიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის (შიდა მობილობა) პირობები და ვაკანტური ადგილების რაოდენობა ამ ბრძანების დანართი 1-ის შესაბამისად.
2. სტუდენტთა შიდა მობილობის წესით საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის პროცესების წარმართვა დაევალოს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის უფროსს, ზ.ბუაჩიძეს.
3. სსიპ – საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2025 - 2026 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან უნივერსიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის (შიდა მობილობა) მსურველებმა, განცხადებით (დანართი 2, 3) უნდა მიმართონ შესაბამის ფაკულტეტს 2026 წლის 24 თებერვლიდან 25 თებერვლის ჩათვლით.
4. განცხადებების არსებული წესით რეგისტრაცია დაევალოს უნივერსიტეტის ადამიანური რესურსები მართვისა საქმისწარმოების სამსახურს.

5. ფაკულტეტის მიერ ,,სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსების შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ“ დასკვნების მომზადება (დანართი 4), მობილობის მსურველთათვის შედეგების გაცნობა და მათი წერილობითი თანხმობის შედეგად უნივერსიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის (შიდა მობილობა) შესახებ ბრძანების პროექტის (დანართი 5) სასწავლო პროცესების მართვის სამსახურში წარდგენის ვადა განისაზღვროს 2026 წლის 9 მარტამდე
6. 2025-2026 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან უნივერსიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის (შიდა მობილობა) შესახებ ბრძანება გამოიცეს არა უგვიანეს 2026 წლის 16 მარტამდე
7. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ვიცე–რექტორს თ.წერეთელს;
8. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
10. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის უზრუნველყოს შესაბამისი ფაკულტეტის სასწავლო პროცესების მართვის განყოფილებამ;
11. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N64).

ვიცე-რექტორი თამარ წერეთელი